პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 131 (3615)

6 1968 წ. ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ანდრო ცხოვრებოვის ოქროს მედალი

სკოპლე, 5 ივლისი. ოქროს 4 მედალი, თითო ვერცხლი და ბრინჯაო საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ სსრ კავშირის ნაკრებს თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონის წოდება და ბროლის გარდამავალი თასი მოეპოვებინა. იუგოსლავიის ამ ქალაქში გამართული საინტერესო ტურნირის მთავარი ჯილდო ბულგარელმა ათლეტებმა დაისაკუთრეს, რომელთა ნადავლი ოქროს 3 და ვერცხლის 4 მედლით განისაზღვრება. 38 ქულა 33-ის წინააღმდეგ, ამჯერად ასე დასრულდა დავა ევროპულ დონეზე, რომელიც, ამავე დროს, გენერალური წინასაოლიმპიადო რეპეტიცია გახლდათ. შარშანდელი ჩემპიონი — თურქეთის გუნდი მხოლოდ IV ადგილს დასჯერდა (უნგრეთის შემდეგ), მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს: თურქები დიდი ჩემპიონატის წინ (ბუნებრივია, ისინი ოლიმპიურ ტურნირს მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ევროპულ ჩემპიონატს) მუდამ მალავენ თავიანთ ძალასა და შესაძლებლობებს.

ვინ გამოიჩინა თავი საბჭოთა გუნდიდან? პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მახაჩყალელი ალი ალიევი (მჩატე წონა), რომელსაც ადრე ევროპულ ფორუმზე ბედი არ სწყალობდა. ახლა მან ოქროს ნადავლის კოლექცია უფრო გაამდიდრა.

ალექსანდრე მედვედი (მძიმე წონა) მსოფლიო ჩემპიონიც იყო, ოლიმპიურიცა და ევროპისაც, ამიტომ წლევანდელი წარმატება მისთვის ჩვეულებრივი რამაა. და მაინც, მთავარ მეტოქესთან — ბულგარელ დურალიევთან გამარჯვებამ მას დიდი სიხარული მოუტანა. მედვედი, როგორც ჩანს, მეხიკოშიც პირველი ფავორიტი იქნება.

ევროპის ჩემპიონის ტიტული თბილისელმა ანდრო ცხოვრებოვმა (საშუალო წონა) პირველად მოიპოვა. შარშანწინ მისი დებიუტი კარლსრუეს ტურნირში არც ისე ურიგო იყო (III ადგილი), მაგრამ ნიჭიერი ათლეტი უდავოდ მეტის ღირსი გახლდათ. შარშან საბჭოთა გუნდის ღირსებას ევროპის ჩემპიონატში კიეველი ბ. გურევიჩი იცავდა. ვეტერანმა დაამტკიცა თავისი ძალა და ოსტატობა, I ადგილი მოიპოვა და ესტაფეტა ახალგაზრდა თბილისელ კოლეგას გადასცა.

ცხოვრებოვი იუგოსლაველ სპორტის მოყვარულთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მის ელვისებურ შეტევებს დგომში აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. „კოლმეურნის“ წარმომადგენელი მუდამ ოსტატურად იყენებდა ქართული ჭიდაობის ილეთებს. სწორედ მათი წყალობით მოიპოვა ბოლო შეხვედრებში მან ზედიზედ 4 წმინდა გამარჯვება, რაც საბოლოოდ ჩემპიონის ოქროს მედალში გამოიხატა.

საბჭოთა გუნდის მეოთხე ლაურეატი ვლადიმერ გულიუტკინი (ქვემძიმე წონა) საერთაშორისო ტურნირების დებიუტანტია. ამიტომაც მისი წარმატება ერთიორად საპატიო და მისალოცია.

ვერცხლის მედალი მოიპოვა კიეველმა იური გუსოვმა (მსუბუქი წონა), ხოლო ბრინჯაოსი — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გურამ საღარაძემ (ქვესაშუალო წონა).

წარუმატებელი გამოდგა უმჩატეს წონაში ზაურ შეყრილაძის დებიუტი, რომელმაც ზედიზედ წააგო ორი ბრძოლა: ქულებით — რუმინელ დიმიტრუსთან და წმინდად — ზეფთან (გფრ). იგი სტარტზევე გამოეთიშა ჩემპიონატს.

ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა მეორე საბჭოთა ათლეტი ელკან თედეევი (ქვემსუბუქი წონა). პირველი შეხვედრა ბულგარელ ტოდოროვთან მან ფრედ დაამთავრა, მეორე შეხვედრა კი მას წმინდად მოუგო ჩეხოსლოვაკიელმა ენგლამ.

სხვა წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ბულგარელები ბ. ბაევი (უმჩატესი), ე. დინევი (ქვემსუბუქი), ე. ვილჩევი (მსუბუქი) და ფრანგი დ. რობენი (ქვესაშუალო).

◆ ზაგრები, 5 ივლისი. ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა უნგრეთის ეროვნული გუნდი — 18:14. მაგრამ ამ გამარჯვებამ საბჭოთა სპორტსმენებს საშუალება არ მისცა დაეტოვებინათ სატურნირო ცხრილის ბოლო, VI ადგილი, ვინაიდან ისინი მანამდე ოთხჯერ დამარცხდნენ. შეჯიბრებაში ყველას აჯობეს მასპინძლებმა: I ადგილზეა იუგოსლაველთა პირველი ნაკრები, II — მეორე ნაკრები. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რუმინეთის, პოლონეთისა და უნგრეთის წარმომადგენლები.

◆ ნეაპოლი, 5 ივლისი. ევროპის ჩემპიონატში მოასპარეზე საბჭოთა აფროსნებმა ტ. პინეგინმა და ფ. შუტკოვმა 12-დან ხუთ ქულამდე შეამცირეს განსხვავება ლიდერებთან და ერთი საფეხურით მაღლა ავიდნენ. ახლა „ვარსკვლავისებურ“ კლასში საბჭოთა აფროსნებს მესამე რბოლის შემდეგ III ადგილი უჭირავთ. წინ არიან შვედები (მესაჭე პ. პეტერსონი, ნავი „ჰამბურგი ვიი“) და ამერიკელები (მესაჭე ჯ. შუნმაკერი, ნავი „დანგო“). მესამე რბოლაში საბჭოთა „ტაიფუნი“ ფინიშთან მეორე იყო, იგი მხოლოდ შვედების ნავ „კრანველს“ ჩამორჩა.

## ალექსანდრე მეტრეველს არც თეიმურაზ კაკულია ჩამორჩა

იხ. მე-3 და მე-4 გვ.

## 1:0

სვერდლოვსკი, 4 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება „ტყავის ბურთზე“. საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი ს. ხოჭოლავა) პირველი თამაში ჰქონდა მოლდაველთა გუნდთან.

დაძაბული ბრძოლა მოიგო საქართველოს ნაკრებმა — 1:0.



## კორჩნოიმ კვლავ მოიგო

მოსკოვი, 5 ივლისი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — მ. ტალისა და ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის V პარტიაში კვლავ კორჩნოიმ იმარჯვა.

ყველა ინტერესით ელოდა, როგორ მოიქცეოდა ტალი IV პარტიის წაგების შემდეგ: თავშეკავებულ თამაშს არჩევდა, თუ იერიშზე გადავიდოდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თამაში მეფის პაიკით დაიწყო, რაც მძაფრ ბრძოლას მოასწავებდა.

მეტოქეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. მე-20 სვლამდე გამეორდა მოსკოვისა და პრაღის მოჭადრაკეთა ამასწინანდელი ამხანაგური მატჩის ერთ-ერთი პარტია. ტალი მეტოქის რჩიმე სადებიუტო სიურპრიზს შეუშინდა და გატკეპნილ გზას გადაუხვია. მალე მან უკეთესი მდგომარეობაც მიიღო.

შუა თამაშში ტალმა 10 წუთს იფიქრა და... უხეირო სვლა გააკეთა. კორჩნოი მყისვე დაეუფლა ინიციატივას. მისი ფიგურები თავს დაესხნენ რიგელი ღიდოსტატის მეფეს და შამათის გარდუვალი მუქარის გამო 37-ე სვლაზე ტალი დანებდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 3,5:1,5 კორჩნოის სასარგებლოდ. 6 ივლისს შედგება VI პარტია. თეთრებით თამაშობს კორჩნოი.



ს უ რ ა თ ზ ე: აი, ის გოლი, რომელიც მ. ხურცილავამ გაიტანა კიეველთა კარში. ვ. ბანიკოვის თავგანწირული ნახტომი ამაოა. ფოტო მ. ზარგარიანისა.

(მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

# ტექნიკუმელთა...

საქართველოს საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა IV რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ყველა შეჯიბრება დამთავრდა. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სპორტულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტსა და ქართულ ჭიდაობაში გამართულ ასპარეზობათა შესახებ. დღეს ვისაუბრებთ ძალოსნობაში, კალათბურთსა და ფრენბურთში გამართულ შეჯიბრებებზე.

სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა თბილისის მანქანათმშენებლობის კარგად მომზადებულმა კოლექტივმა (ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ფ. ყარალაშვილი). II საპრიზო ადგილი დაიკავა თბილისის პოლიტექნიკურმა ტექნიკუმმა (ვ. მაჭავარიანი), ხოლო III — თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის (ლ. კაპიტანოვი) წარმომადგენლებმა.

კარგად გამოვიდა რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმიც (ვ. ხუაძე), რომელმაც IV ადგილი დაიკავა.

მოცურავეთა ადრე გამართულ შეჯიბრებაში თავისუფალი სტილით 4×100 მ ესტაფეტა მოიგო ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის გუნდმა.

## დაბალი შედეგებით

ძალოსნობაში მოასპარეზე 75 სპორტსმენიდან სათანრიგო მოთხოვნების შესრულება მხოლოდ 22-მა შეძლო. გუნდური I ადგილი თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმმა დაიკავა, II — ქუთაისის სამთო ტექნიკუმმა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ამ სასწავლებლის III კურსის მოსწავლემ თ. დოგუზოვმა, რომელმაც 106 კგ აჰიმა და ამ სახეობაში ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი 2,5 კგ-ით გააუმჯობესა.

დანარჩენი გუნდები სუსტად გამოვიდნენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: გ. ალასანია (ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი) — 210 კგ, ტ. კიკილაშვილი (თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი) — 230, გ. ბაბილუა (ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი) — 270 კგ, გ. ხორგუაშვილი — 307,5 კგ, რ. გომარელი — 365 კგ, ბ. სბორჩიკოვი — 297,5 კგ, რ. ელეფთერიდი — 305 კგ (ყველა — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), ვ. ფხაკაძე (ქუთაისის სამთო ტექნიკუმი) — 290 კგ.

## კალათბურთის ფარებთან

დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს კალათბურთელებმა. ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთის პირისპირ თბილისის ორი გუნდი დადგა: მანქანათმშენებლობისა და პოლიტექნიკური ტექნიკუმებისა. შეხვედრის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. შესვენების შემდეგ თამაში პოლიტექნიკოსთა უპირატესობით წარიმართა და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ.

III ადგილზე გავიდნენ ქუთაისის სამთო ტექნიკუმის კალათბურთელები.

ქალთა გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. პოლიტექნიკური ტექნიკუმი, 2. რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმი, 3. ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი.

## იმედი არ გაუცრუეს

ფრენბურთში შეჯიბრების დაწყებამდე ცნობილი იყო, რომ მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ქალებს ჯეროვან წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა. ამ გუნდში თამაშობდნენ ძლიერი ფრენბურთელები: ლ. სივოპლიასოვა, ნ. ძებოშვილი, ლ. როსტიაშვილი, ვ. ვერემეევა, ლ. ოდნაკონნაია, ნ. სიმონოვა და ლ. კოკორევა. საკმარისია ითქვას, რომ სივოპლიასოვა და ძებოშვილი საქართველოს ნაკრების წევრები არიან. შეჯიბრებისადმი ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ მანქანათმშენებელთა გუნდმა თბილისის პირველობაში დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტის (3:2), უნივერსიტეტის (3:1), ქალაქის განათლების განყოფილების სპორტსმენები (3:2) და II ადგილი დაიკავა.

მომავალმა მანქანათმშენებლებმა მაყურებელს იმედი არ გაუცრუეს: თანმიმდევრულად, დამაჯერებლად დაამარცხეს ყველა მეტოქე. II ადგილი დაიკავა პოლიტექნიკური ტექნიკუმის კოლექტივმა, III — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის ფრენბურთელებმა.

ვაჟთა გუნდებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი, 2. პოლიტექნიკური ტექნიკუმი, 3. მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი.

ი. ლოლაძე.

## მკითხველები გვთხოვენ

### ნუ დაგვინგრევთ!

დღითი-დღე შენდება დიღმის მასივი — მწყობრში დგება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, სკოლები... მაგრამ სპორტის მოყვარულებს ჯერჯერობით მაინც გულს აკლიათ.

ჩვენი კვარტალი მეგობრობის პროსპექტსა და საქართველოს სამხედრო გზას შუაა მოქცეული. მათ გადაკვეთაზე, აგრეთვე, მე-9 და მე-8 „ა“ კორპუსებს შორის იყო თავისუფალი ადგილები, რომლებიც ახლომდებარე კორპუსების მცხოვრებლებმა საკუთარი ძალებით გავწმინდეთ, მოვასწორეთ. შემდეგ ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები მოვაწყვეთ, ღერძი დავდგით. აქ ყოველ შაბათ-კვირას უამრავი სპორტის მოყვარული იყრის თავს. იმართება შეჯიბრებები ფრენბურთში, ფეხბურთში, ჭიდაობაში, სპორტის სხვა სახეობებში. მაგრამ არ ვიცით, დიდი დღე უწერია კი ამ სიამოვნებას? შიშის საფუძველი გვაქვს: მოედნები VI კვარტალის მცხოვრებლებმაც მოაწყვეს, მაგრამ შემდეგ ამ ბაზების ადგილზე მრავალსართულიანი სახლი აშენდა, სამაგიეროს მოწყობაზე კი აღარავის უფიქრია.

გვიკვირს, რატომ დარჩა უპასუხოდ ჯანმრთელობის სახალხო კლუბ „დილას“ ლია წერილი საქართველოს არქიტექტორთა კავშირისადმი, რომელიც კარგა ხანია „ლელოში“ დაიბეჭდა.

ა. პირტახია,
„თბილგვირაბმშენის“ ინჟინერი.

## ტრადიციად დამკვიდრდა

ცაგერში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი სასწავლო წლის დასასრულს მასწავლებელთა რაიონული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ახლახან გაიმართა ტურნირები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. შემდეგ დაკომპლექტდა ნაკრები გუნდები, რომლებიც ლენტეხის რაიონს ეწვივნენ და იქაურ მასწავლებლებთან გამართეს შეჯიბრებები.

ფრენბურთელთა შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში კი სტუმრებმა იმარჯვეს.

გ. ხვადაგიანი,
ცაგერის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

## პედაგოგთა სპარტაკიადა

აფხაზეთის დედაქალაქში გაიმართა განათლების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთში, ტყვის სროლასა და ფეხბურთში. ამ სახეობებში დამთავრებულ ასპარეზობათა შემდეგ კომპლექსურ ჩათვლაში დაწინაურდა მე-19 საშუალო სკოლის ნაკრები. II ადგილზეა მე-4 საშუალო, ხოლო III — მე-10 საშუალო სკოლის პედაგოგთა გუნდი.

კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში შეჯიბრებების გამართვა სექტემბერშია განზრახული.

გ. ჟორდანია.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

### გურჯაანი

ადგილობრივმა ტურისტულმა კლუბმა ზემო გურჯაანში მოაწყო შეკრება-შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ შეჯიბრებაში, რომელიც რაიონში პირველად ჩატარდა, 11 გუნდი მონაწილეობდა. I, II და III ადგილები გაინაწილეს ველისციხის საშუალო სკოლის, მე-13 პროფტექნიკური სასწავლებლისა და ჩუმლაყის საშუალო სკოლის კოლექტივებმა.

ნ. ბაბელაია,
შეკრება-შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

### რუსთავი

„მეტალურგის“ სტადიონზე ჩატარდა ზონალური გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის „ტყავის ბურთის პრიზზე“. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროსა და თიანეთის გუნდები. უფროს ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა. უფროსებს არც პატარები ჩამორჩნენ და მათაც გამარჯვებით დაამთავრეს ტურნირი. ფინალში რუსთავის ფეხბურთელებმა დაამარცხეს თიანეთის გუნდი — 2:0.

რ. გაბრიჩიძე.

### სამტრედია

აქ გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პირველობა თავისუფალ ჭიდაობასა და ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სოხუმის, ბათუმის, სამტრედიის, ზესტაფონის და ქუთაისის რკინიგზის კვანძის წარმომადგენლები. პირველობა ორივე სახეობაში ქუთაისის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს.

ი. ბუხაიძე.

### აბაშა

„სპარტაკის“ რაისაბჭოს მოჭადრაკეთა ტურნირში 8 კაცი ჩაება. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ჰ. ჯალაღონია, II-III. ნ. კაჭარავა და ნ. ნოდია.

ი. თოფურია.

## სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

27 ივნისს სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სტატია „ნაკრების ღირსება — დროშის ღირსება!“, რომელიც „კომსომოლსკაია პრავდის“ 23 ივნისის ნომერში იყო გამოქვეყნებული.

ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ „კომსომოლსკაია პრავდამ“ დროულად და მართებულად წამოჭრა საკითხი საბჭოთა სპორტსმენთა პატრიოტულ მოვალეობაზე, სპორტულ ღირსებასა და ეთიკაზე. გაზეთის ამ გამოსვლას მხარს უჭერენ სპორტული საზოგადოებრიობა, სსრ კავშირის ნაკრები გუნდების სპორტსმენები და მწვრთნელები. ამორალური საქციელი, სპორტული რეჟიმის დარღვევა შეუფერებელია საბჭოთა სპორტსმენის, მწვრთნელის მაღალი წოდებისთვის.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ფედერაციებს სპორტის სახეობათა მიხედვით, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებს, სპორტკავშირის რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო საბჭოებს, სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მწვრთნელებს, გუნდების კაპიტნებს დაავალა პარტიულ-პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად აამაღლონ პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის დონე სპორტსმენთა შორის, განსაკუთრებით, ნაკრებ გუნდებში, გამუდმებით იმუშაონ სპორტსმენებში საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის, მოვალეობისა და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის შეგნების ჩამოყალიბებისთვის, შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღონ სპორტული რეჟიმის დამრღვევებთან, მათთან, ვინც გვერდს უქცევს წვრთნის გეგმების განუხრელად შესრულებას, არ იჩენს შრომისმოყვარეობას და თავგანწირვას მაღალი სპორტული მიღწევებისთვის ბრძოლაში.

საბჭოთა სპორტის მორალურ-ეთიკური პრინციპების დარღვევისთვის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ქვეყნის ნაკრები გუნდების შემადგენლობიდან გარიცხა მძლეოსანი ფ. პანკრატოვი, წყალში მხტომელი მ. საფრონოვი, ფეხბურთელი ი. საბო, ძალოსანი ა. ვახონინი. ძალოსან გ. ჩეტინს სპორტული რეჟიმის დარღვევისთვის გამოეცხადა საყვედური.

პრეზიდიუმმა სპორტკავშირის რსფსრ-სა და უკრაინის რესპუბლიკურ საბჭოებს დაავალა, რომ პირველმა სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაციასთან ერთად, მეორემ — სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად განიხილონ რამდენად შეეფერება ა. ვახონინისა და ი. საბოს საქციელი „სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის“ მაღალ წოდებას და სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინონ შესაბამისი წინადადებები.

პრეზიდიუმმა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს ბიუროს დაავალა განიხილოს რამდენად შესაძლებელია ვ. მურატოვის შემდგომი მუშაობა სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე.

ფიგურულ ციგურაობაში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელს ს. ჟუკს უხეშობისა და უტაქტო საქციელისთვის გამოეცხადა საყვედური.

## ახალი ამბები

● **ლონდონი**, 3 ივლისი. მსოფლიოს უძლიერესი სპიდვეისტები — სსრ კავშირის, პოლონეთის, ინგლისისა და შვეციის მოტომრბოლელები ახლა ოფიციალური მატჩების სერიას ატარებენ. საბჭოთა სპორტსმენები ინგლისში სტუმრობენ. მათი ორი მატჩი დიდი ბრიტანეთის ნაკრებთან მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 46:29 და 51:27. სექტემბერ-ოქტომბერში საბჭოთა გუნდს შვეციისა და პოლონეთის სპორტსმენებთან უწევს შეხვედრები. სსრ კავშირის გუნდში არიან: მსოფლიოს ოქროს ვიცე-ჩემპიონი ი. პლეხანოვი, კონტინენტის ჩემპიონი გ. კურილენკო, მათი თანაქალაქელები — უფლები გ. კადიროვი და ბ. სამოროდოვი, აგრეთვე, ლენინგრადელები ვ. სმირნოვი, ი. ლამბოცკი, ბალაკოვოელი ბ. ცეხანოვიჩი და დაუგავპილსელი ა. პეტროვსკი. საბჭოთა მოტომრბოლელები ინგლისში კიდევ რამდენიმე შეხვედრას გამართავენ.

● **ნეაპოლი**, 4 ივლისი. ცნობილი საბჭოთა აფროსნები ტ. პინეგინი და ფ. შუტკოვი, რომლებმაც 1960 წელს იტალიის ამ ქალაქში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა სახელი მოიხვეჭეს, ამჯერადაც აქ გამოვიდნენ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ჩემპიონთა ტიტულის მოსაპოვებლად „ვარსკვლავისებურ“ კლასში. პირველ რბოლაში მოსკოველებმა კარგად იასპარეზეს — პორტუგალიელი ძმების მანუელ და ხოსე კუინების შემდეგ II ადგილი დაიკავეს. მეორე დღეს საბჭოთა ნავმა „ტაიფუნმა“ ტემპს უკლო — ფინიშთან მხოლოდ მეთექვსმეტე იყო (გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა, სახელგანთქმულმა დანიელმა პ. ელვსტრემმა). ორი რბოლის შემდეგ საბჭოთა ეკიპაჟს 104 ქულით IV ადგილი უჭირავს. ლიდერობს შვედების დუეტი, რომელსაც სათავეში უდგას მესაჭე პ. პეტერსონი — 116 ქულა.

● **შჩეცინი**, 5 ივლისი. ევროპის 16 ქვეყნის რკინიგზელმა ჩოგბურთელებმა ამ კონტინენტის VIII ჩემპიონატი გაითამაშეს. გუნდურ ჩათვლაში (თ. კაკულია, ი. ხოხლოვი, ა. ივლევი და ე. გერასიმოვი) გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, პირადში უძლიერესი იყო თბილისელი თ. კაკულია.

### წერილი მეზობელი რესპუბლიკიდან

## კარგად იასპარეზეს

ახლახან აზერბაიჯანში, კახის რაიონში გაიმართა ფრენბურთელთა სასკოლო გუნდების პირველობა. რაიონულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კახის ლენინის სახელობისა და ალიბეგლოს რუსთაველის სახელობის ქართული საშუალო სკოლების გუნდებიც. ჩემპიონობა მოიპოვეს კახის საშუალო სკოლის ფრენბურთელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა.

გოგონებს შორის III საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ალიბეგლოს საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

იასონ ჭაჭაშვილი.
სოფ. ალიბეგლო,
აზერბაიჯანის სსრ.

## მისაბაძია!

ფულისა და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარიის გავრცელების საქმე ერთ-ერთი საპატიოა სპორტკავშირების ხელმძღვანელთა მუშაობაში.

უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი რაიონების სპორტკავშირები კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით წარმატებითართმევენ თავს ამ საქმეს. ეს პირველ ყოვლისა ითქმის მახარაძის, ზუგდიდის, ორჯონიკიძის, ხობისა და ასპინძის რაიონებზე.

ამასთან, ამ მხრივ ძალზე სუსტად მუშაობენ გურჯაანის, მარნეულის, საგარეჯოს, მესტიის, სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციები, რომლებსაც ოლიმპიური ბილეთების ნაკისრი რაოდენობის ნახევარიც კი არ გაუვრცელებიათ, თუმცა ტირაჟამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა.

მისაბაძია მახარაძის რაიონის სპორტკავშირის (თავმჯდომარე ო. კიშინსკი) ინიციატივა, რომელმაც გაავრცელა რა 19 ათასი ბილეთი, გადაწყვიტა დამატებით რეალიზაცია უყოს კიდევ ათასს.

ვფიქრობთ, ამ მისაბაძ მაგალითს სხვა რაიონებშიც გამოუჩნდებიან მიმდევრები.



სსრ კავშირის პირველობა

# ჩემპიონი გადარჩა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 8 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) 1:1 (1:1).

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჰელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი, ხურცილავა, მეტრეველი, გ. ნოდია (მესხი), გავაშელი (კუტივაძე).

კიევი: ბანიკოვი, მედვიდი, სოსნიხინი, ლევჩენკო, კრულიკოვსკი, ტურიანჩიკი, მუნტიანი (პილიპჩუკი), საბო, პუზაჩი, სერებრიანიკოვი, ხმელნიცკი (ბიშოვეცი).

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

ჩემპიონისა და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის მატჩი თავისთავად საყურადღებო მოვლენაა. ასეთ თამაშებს თვეობით ელიან, ასეთ თამაშებს არ აცდენენ. მაგრამ საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ კიევის „დინამო“ ზედიზედ ორი წელია ჩემპიონის „სამოსში“ გვევლინება და ახლაც ამ ტიტულს უმიზნებს: მან ახალი, თანამედროვე ტაქტიკური ვარიანტი შეიმუშავა და ჩვენში პირველმა დაარღვია ბრაზილიური სისტემის შაბლონური განლაგება. თავიანთ მთავარ, საუკეთესო ძალებს კიეველებმა მინდვრის შუაგულში მოუყარეს თავი, სადაც გუნდს საინტერესო, ორიგინალური სტილის მოთამაშეები ჰყავს. აქ შექმნეს მძლავრი პლაცდარმი, რომელიც საიმედოდ განაგებს თამაშის მსვლელობას და რაციონალურად, მატჩის მიმდინარეობის შესაბამისად ანაწილებს აქცენტს დაცვისა და შეტევის დროს. ამ საუცხოოდ რეგულირებული ნახევარდაცვის მეშვეობითაა, რომ ეს გუნდი მუდამ სრულ მზადყოფნაში ხვდება მეტოქის შეტევებს და თავის იერიშსაც რეგულარულად აწარმოებს მოთამაშეთა გაძლიერებული რაოდენობით. მუნტიანი, საბო, ხმელნიცკი, ტურიანჩიკი — თვითეული მათგანი გამთამაშებელი, მაორგანიზებელი ტიპის ფეხბურთელია, თვითეულ მათგანს შეუძლია კიდეც წამოიწყოს და კიდეც დაამთავროს საიერიშო კომბინაცია ისე, რომ არ შესუსტდეს მინდვრის შუაგული და იქ ცარიელი ადგილები არ დარჩეს.

კიევის „დინამო“ საინტერესო, შინაარსიანი გუნდია. მასთან თამაშში შაბლონური, უკვე ცნობილი საშუალებებით ბრძოლა არავის გამოადგება. საჭიროა სიახლეთა გამოყენება, მოფიქრებული, მოულოდნელი გადაადგილებანი გუნდში, საერთო სათამაშო გეგმის რეორგანიზება.

მაგალითად, თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა იმ რთული პრობლემის წინაშე იდგა კიეველებთან მატჩის წინ, თუ რა შემადგენლობა გამოეყვანა მინდორზე. ღირდა თუ არა ხურცილავას მონაწილეობა მატჩში, როცა იგი სათანადოდ ნავარჯიშევი არ იყო ტრავმის შემდეგ? რა ფუნქციები უნდა შეესრულებინა მას, ცენტრალური მცველის, თუ მოიერიშე ნახევარმცველისა?

დინამოელები რისკზე წავიდნენ. მართლაც, განა ღირდა ჰელიძე — რეხვიაშვილის წყვილის დარღვევა, როცა იგი დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ფეხბურთში? არც დაცვის ფლანგებზე შეიძლებოდა ცვლილებათა შეტანა, ვინაიდან ძოძუაშვილიც და ცხოვრებოვიც პირველხარისხოვანი შემსრულებლები არიან და მოწინააღმდეგე თავდამსხმელთათვის გაუვალ ზღუდეს წარმოადგენენ (ცნობისთვის: თბილისის „დინამოს“ დაცვამ და მეკარე ურუშაძემ ისე ჩაატარეს ბოლო 6 მატჩი, რომ არც ერთი ბურთი არ გაუშვიათ. უკანასკნელი გოლი ჩვენი გუნდის კარში გატანილ იქნა დიდი ხნის წინ, 20 მაისს).

ამიტომ იყო, რომ ხურცილავას გამოსვლა ნახევარდაცვის ხაზში სიურპრიზს წარმოადგენდა კიეველთათვის. მისი ნეიტრალიზებისთვის მათ იძულებითი კორექტივების შეტანა დაჭირდათ თავიანთ სამოქმედო სქემაში. ნახევარდაცვა აქტიურად ვეღარ გადადიოდა შეტევაზე და, მართალია, ხურცილავა არ იყო თავის ნამდვილ საბრძოლო ფორმაში, მან თავისი საქმე გააკეთა: გოლი, რომელიც ჩემპიონის კარში გაიტანა, თამამად შეიძლება შევიტანოთ საფეხბურთო ქრესტომათიებში და სასწავლო ფილმებში სათაურით: „აი, რა არის გოლი!“

გასაგებია, რომ ასეთი მნიშვნელობისა და მასშტაბის მატჩს თან ახლდა ნერვიულობა, ფსიქოლოგიური შებორკილობა, სიფრთხილე, მაგრამ კიეველებს ეს გაცილებით უფრო ეტყობოდათ, ვიდრე თბილისელებს. ისინი შიშით თამაშობდნენ. ჩემპიონის დევიზი იყო დაცვა, თავის ხსნა მარცხისგან, ბრძოლა 1 ქულის ასაღებად. მასპინძლების დევიზი კი იყო შეტევა, გოლის გატანა, გამარჯვებისთვის ბრძოლა.

ამ განწყობამ და, საერთოდ, თამაშის ხარისხმა, ძალთა შეფარდებამ მატჩი თბილისის „დინამოს“ შესამჩნევი უპირატესობით წარმართა, განსაკუთრებით, შესვენების შემდეგ. საგოლე მომენტები კიეველთა კართან თითქმის განუწყვეტლივ იქმნებოდა, თბილისელთა მხარე კი, დაცვის (განსაკუთრებით ძოძუაშვილის) შესანიშნავი თამაშის წყალობით, ამ მხრივ გაცილებით უფრო უხიფათო მდგომარეობაში იყო. თუმცა, მეკარე ურუშაძე ამ დღეს რატომღაც ზედმეტად ნერვიულობდა და შეცდომებს უშვებდა.

თბილისელებმა სწორად დაიწყეს თამაში. დაიწყეს შეტევით, რომლის აქტიური მონაწილე იყო ნახევარდაცვაც (კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ პეტრიაშვილის ძლიერი, ერთობ სასარგებლო თამაში).

ერთ-ერთი ასეთი იერიში წარმოებდა მე-4 წუთზე. უკეთ, იგი მზადდებოდა შუა მინდორში, კარიდან 26–27 მეტრის დაცილებით. ბურთი მიიღო ხურცილავამ. კიეველებმა წამით უკან დაიხიეს დაცვის პოზიციების გასამაგრებლად და ხურცილავამ, რომელიც ამ მომენტში ღიად დარჩა, კარში დაარტყა. ეს იყო თბილისის „დინამოს“ მიერ საკავშირო ჩემპიონატებში გატანილი „საიუბილეო“, 1300-ე გოლი და, ვფიქრობთ, უკეთეს საჩუქარს ვერავინ ინატრებდა — 1:0.

ეს იყო დასაწყისი. მე-10 წუთზე კი კიეველთა კარი მორიგი ხიფათის წინაშე აღმოჩნდა; გ. ნოდია, რომელიც მინდვრის სიღრმიდან შეიჭრა საჯარიმო მოედანში, ბანიკოვის პირისპირ აღმოჩნდა: უფრო ხელსაყრელი მომენტი კარის ასაღებად იშვიათად იქმნება და როცა ფორვარდი უკანასკნელ მოძრაობას ასრულებდა ბურთის დასარტყმელად, მას ფეხი გამოუდეს და წაა[illegible]ციეს. კიეველებს სხვა ალ[illegible]ლოთ.

პენალტი?

არა! კაზაკოვმა ხელით აჩვენა — არაფერი მომხდარა, განაგრძეთ თამაში. ძნელი სათქმელია, რომელი წესებით სარგებლობდა ამ დროს არბიტრი. იმ წესით, რომელიც ახლა მოქმედებს საერთაშორისო ფეხბურთში, ეს პენალტია. ეტყობა, მსაჯი „დაიბნა“ და კარგად ვერ გაარჩია ის, რაც კიეველთა კარის წინ მოხდა.

სტუმრებმა შვება იგრძნეს და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ამ შეტევას არ ჰქონია ისეთი სიმძაფრე, რომ თბილისელებს რაიმე საშიშროება ეგრძნოთ. უბრალოდ, ბურთმა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს გადმოინაცვლა. და, მაინც, აქ დაშვებულ იქნა შეცდომა, რომელმაც ჩემპიონს საშუალება მისცა ანგარიში გაეთანაბრებინა. მარჯვნიდან მოწოდებული ბურთი მიდიოდა იქ, სადაც ჰელიძე, ცხოვრებოვი და ურუშაძე იყვნენ. სრულიად მარტივ სიტუაციაში, როცა მცველებმა თამაშის საშუალება მისცეს მეკარეს, მან უკვე აღებული ბურთი პუზაჩს დაუთმო და ამ უკანასკნელმა მყისვე გაიტანა გოლი ცარიელ კარში — 1:1.

ეს იყო დასანანი გოლი, მაგრამ კიეველებმა იგი წესების სრული დაცვით გაიტანეს და ქულაც გადაარჩინეს. შემდგომში, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, თამაშის სადავეები მთლიანად თბილისის „დინამოს“ ეპყრა. ჩემპიონს, რომელიც თითქმის მთელი გუნდით იცავდა თავს, ბედიც წყალობდა. უბრალოდ, იგი გადარჩა.

ზ. ქორქია.

### „ა“ კლასი. I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 6 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 16 | 11 | 4 | 1 | 29—12 | 26 |
| „დინამო“ (კიევი) | 17 | 8 | 8 | 1 | 21—11 | 24 |
| „დინამო“ (თბილისი) | 16 | 6 | 8 | 2 | 12—5 | 20 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 16 | 6 | 7 | 3 | 25—16 | 19 |
| „დინამო“ (მინსკი) | 16 | 7 | 5 | 4 | 14—9 | 19 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 16 | 6 | 7 | 3 | 15—10 | 19 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 16 | 4 | 9 | 3 | 14—13 | 17 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 16 | 4 | 9 | 3 | 15—16 | 17 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 16 | 6 | 4 | 6 | 14—12 | 16 |
| ცსკა | 16 | 5 | 6 | 5 | 14—14 | 16 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 16 | 4 | 8 | 4 | 18—19 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 16 | 5 | 5 | 6 | 12—12 | 15 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 17 | 4 | 7 | 6 | 9—17 | 15 |
| ასკ (როსტოვი) | 16 | 5 | 4 | 7 | 20—23 | 14 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 16 | 4 | 6 | 6 | 16—23 | 14 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 16 | 4 | 5 | 7 | 13—16 | 13 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 17 | 4 | 5 | 8 | 17—21 | 13 |
| „არარატი“ (ერევანი) | 16 | 3 | 5 | 8 | 12—19 | 11 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 17 | 3 | 5 | 9 | 13—24 | 11 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 16 | 2 | 5 | 9 | 6—17 | 9 |

### [illegible]

მორიგი, XVI ტურის მატჩები უპირველესად ყოვლისა აღინიშნა იმით, რომ არ ყოფილა არც ერთი „მშრალი“ თამაში.

ყველაზე დიდი ანგარიში ფიქსირებულ იქნა დონეცკში, სადაც „შახტიორმა“ დაამარცხა „პახტაკორი“ — 3:0. ანგარიში დასაწყისშივე გახსნა ევსეენკომ, მეორე ბურთი გაიტანა ბაზილევიჩმა, ხოლო მესამე — ოგირჩუკმა.

„არარატი“ შინ დამარცხდა „ჩერნომორეცთან“. ორივე გოლის ავტორია სეკეჩი. მან ჯერ დემირჩიანის ხელიდან გაშვებულ ბურთს მიუსწრო, ხოლო შემდეგ მისი დარტყმული ბურთი მოხვდა ერთ-ერთ ერევნელ მცველს და გავიდა კარში.

„ზარია“ — „კაირატი“. ანგარიში გახსნა პროდანეცმა, ხოლო „კაირატის“ თავდამსხმელმა ტიაგუსოვმა გაქვითა გოლი — 1:1.

თანდათან ასწორებს მდგომარეობას როსტოვის არმიელთა გუნდი, რომელმაც შინ მიიღო „ზენიტი“ და გაიმარჯვა — 3:1. მასპინძელთა თავდამსხმელის ესკოვის გატანილი გოლი სულ მალე გაქვითა ვიუნმა, მაგრამ შემდეგ არმიელებმა იმძლავრეს და კოპაევმა ზედიზედ 2 ბურთი მოათავსა „ზენიტის“ კარში. უწესო საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს ესკოვი.

ასევე ფრედ დამთავრდა მოსკოვის გუნდების — „ლოკომოტივისა“ და „ტორპედოს“ შეხვედრა — 1:1. ტორპედოელთა მხრივ გოლის ავტორია სტრელცოვი, ხოლო საპასუხოსი — ატამალიანი.

გამოასწორეს მდგომარეობა „ნეფტჩიმ“ და კიროვაბადის „დინამომ“. ბაქოელებმა დაამარცხეს მოსკოვის „დინამო“ — 2:1. მარქაროვის გოლს მოჰყვა კოზლოვის საპასუხო ბურთი, ხოლო ფინალურ სასტვენამდე 20 წუთით ადრე ტუაევმა წინ გაიყვანა „ნეფტჩი“.

კიროვაბადის „დინამომ“ თავის მინდორზე დაამარცხა ცსკა — 1:0. ერთადერთი გოლის ავტორია ეინულაევი.

### გუშინ...

თბილისში შედგა მორიგი ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდებს შორის. თბილისის „ლოკომოტივმა“ მიიღო გორკის „ვოლგა“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბათუმში ადგილობრივმა „დინამომ“ დაამარცხა ასტრახანის „ვოლგარი“ — 3:1.

# რა უნდოდა მსაჯს?!

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 ივლისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მინსკი) 0:1 (0:0).

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე (წვერავა), იბრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ზარია, ერქომაიშვილი, ხუციშვილი, ხერხაძე, ხაჟალია, ვეკუა (ჭითანავა).

„დინამო“: გლუხოტკო, კუზნეცოვი, ზარემბო, სლოვაკი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, ტოლეიკო, სახაროვი (კაბერსკი), მუსტიგინი, მალოფეევი, პოგალნიკოვი (გირკო).

მსაჯი ი. იაკობსონი (ლენინგრადი).

ქუთაისელთა ახლანდელი არასახარბიელო მდგომარეობა ყველამ კარგად იცის. რა თქმა უნდა, ეს იცოდა ლენინგრადელმა არბიტრმა, რომელიც ამ დღეს სჯიდა მატჩს მინსკის „დინამოსთან“.

ქუთაისელ ფეხბურთელებს წლეულს ბევრ შემთხვევაში არ გაუმართლათ. იყო მატჩები, როცა ქართველმა ტორპედოელებმა დაუმსახურებლად დაკარგეს ქულები, ახლა კი მათ ბედმა „უმუხთლა“ იმით, რომ ერთობ არაკვალიფიციურად, არაობიექტურად იმსაჯა იაკობსონმა. საინტერესოა, რა უნდოდა მსაჯს?!

მივყვეთ მატჩის მსვლელობას. უკვე მე-2 წუთზე ხერხაძე შეიჭრა დინამოელთა საჯარიმო მოედანში და მისი ძლიერად დარტყმული ბურთი აიღო გლუხოტკომ. მე-7 წუთზე ერქომაიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან მოაწოდა ბურთი და ვეკუას თავური დარტყმა აცდა კარს. ტორპედოელები თამაშობდნენ გამარჯვების მოპოვების სრული რწმენით და ზედიზედ, შეუჩერებლად უტევდნენ მეტოქეს. მართალია, 32-ე წუთზე კვასხვაძეს მოუხდა სახაროვის მიერ შორიდან დარტყმული ბურთის მოგერიება, მაგრამ ეს გამონაკლისი იყო.

ასე მიმდინარეობდა მატჩი. ტორპედოელებს სულ ცოტა 1 ქულა მაინც უნდა აეღოთ, მაგრამ მათ ყველა ცდას ცივი წყალი გადაასხა მსაჯმა. იგი აშკარა მიკერძოებას იჩენდა სტუმართა მიმართ. 75-ე წუთზე ერქომაიშვილის მიერ მოწოდებული ბურთი გადაცდა მცველებს, მეკარე გლუხოტკოსაც და ხაჟალიამ იგი მკერდით გაიტანა კარში. ეს ნაღდი გოლი ნახა ყველამ, მაგრამ მსაჯმა „დამატებით“ ნახა მეკარის ბლოკირებაც და გოლი არ ჩათვალა.

ესეც არაფერი! 85-ე წუთზე ქუთაისელთა კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი. მაღალი ბურთისთვის იბრძოდნენ მინსკელი მალოფეევი და „ტორპედოს“ მცველები. მსაჯი ამ დროს მინდვრის შუაგულში იმყოფებოდა. იგი გულდაგულ გამოიქცა ქუთაისელთა კარისკენ და აჩვენა... პენალტი. ქუთაისელები საკმაო ხანს ეხვეწნენ მსაჯს შეეცვალა ეს უკანონო გადაწყვეტილება, მაგრამ ამაოდ. პენალტი გაიტანა მალოფეევმა.

ორიოდე წუთის შემდეგ მინსკელთა საჯარიმო მოედანზე მოცელეს ხაჟალია. მსაჯმა ამჯერად დუმილი არჩია.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# როგორ გაქვთ საქმე, ფავორიტებო?

იტალიის საკურორტო ქალაქმა ვარეზემ, რომელიც მაღალმთიან შვეიცარიას ემიჯნება, მსოფლიოს უძლიერეს ველოსიპედისტებს უმასპინძლა. იქ ახლახან რეკონსტრუირებულ ტრეკზე ერთმანეთს შეეჯიბრნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, მექსიკის, პოლონეთის, საფრანგეთის, გფრ-ისა და იტალიის გუნდები. საინტერესო შეჯიბრებას ჯერჯერობით „შინაურები“ ლიდერობენ: მათს პირველ გუნდს მოგროვილი აქვს 33 ქულა, მეორე კოლექტივს კი 20. საბჭოთა ველოსიპედისტები III ადგილზე არიან.

როგორც ყოველთვის, საერთო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა სპრინტერთა პაექრობა. წინასწარი შეჯიბრებები ჩაიარა მშვიდად, ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე: ფავორიტები გავიდნენ მეოთხედფინალში. შემდეგ კი დაიწყო სენსაციები...

მსოფლიო ჩემპიონი, ფრანგი მორელონი იმდენად გაერთო იტალიელ ვერზინისთან „ურთიერთობის გარკვევით“, რომ მხედველობიდან გამორჩა რბოლის მესამე მონაწილე — შოფერი (გფრ). გონს ფავორიტები გვიან მოვიდნენ — გერმანელი უკვე ფინიშთან იყო. მსოფლიო ჩემპიონს კიდევ ერთხელ ჰქონდა მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, მაგრამ ვერც ის გამოიყენა. „იმედის სერიაში“ იგი ზედმეტად დაენდო თავის შესაძლებლობებს, გვიან დაიწყო საფინიშო ბიძგი და „მეოთხედი თვალით“ წააგო ახალგაზრდა იტალიელ სავისთან.

მსოფლიო ჩემპიონის ბედი გაიზიარა ექს-ჩემპიონმა ფხაკაძემაც. მეოთხედფინალში მან მკაცრი კონტროლის ქვეშ აიყვანა ტრანტენი (საფრანგეთი), მაგრამ ბოლო ვირაჟზე მარცხნიდან გაეპარა იტალიელი ბორგეტი. ფხაკაძე ფინიშთან მესამე მივიდა.

სამაგიეროდ, ჩვენმა თანამემამულემ იმარჯვა „იმედის სერიაში“, დამაჯერებლად მოუგო ვერზინისაც, ტრანტენსაც და აჩვენა დღის საუკეთესო დრო — 11,4. შემდეგ ფხაკაძემ სავიც დაამარცხა, ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ აქ კვლავ ერთი უმნიშვნელო შეცდომის მსხვერპლი გახდა. საქმე ისაა, რომ ბორგეტისთან ნახევარფინალურ სერიაში მას ფინიშამდე 300 მეტრით ადრე ეკავა ხელსაყრელი მეორე პოზიცია, მაგრამ უსწორო გადაწყვეტილება მიიღო — წინ გავიდა. შეცდომამ იმავე წამს იჩინა თავი: ბორგეტიმ რამდენიმე სანტიმეტრით გაუსწრო ფხაკაძეს.

სპრინტერთა შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი ენერგიულად ჩაატარა იტალიელმა ტურინიმ. მან ჯერ შოფერი დაამარცხა, შემდეგ — ფინალში ბორგეტი (200 მ — 11,6) და I ადგილი დაისაკუთრა. ფხაკაძეს III ადგილი ხვდა წილად.

რამდენიმე დღის შემდეგ ველოსიპედისტებმა ვარეზედან ტურინში გადაინაცვლეს. აქ კი ფხაკაძე და მისი მუდმივი მეტოქე, მსოფლიო ჩემპიონი მორელონი დანარჩენ კონკურენტებზე მთელი თავით მაღლა იდგნენ და ფინალშიც სწორედ ერთმანეთს შეხვდნენ. გადამწყვეტი სერია, რომელიც ამავე დროს მეტად პრინციპული ხასიათისა იყო, ექს-ჩემპიონმა უნაკლოდ ჩაატარა. ფხაკაძემ სისწრაფითაც დაჩაგრა ფრანგი და ტაქტიკურადაც, მაგრამ ფინიშამდე 30 მეტრით ადრე მისი ველოსიპედის უკანა თვალი დასრიალდა (ბეტონის გზატკეცილზე საღებავი არ იყო კარგად შემშრალი), სპორტსმენმა მართალია შეინარჩუნა წონასწორობა, მაგრამ მეტოქეს ვეღარაფერი მოუხერხა და II ადგილზე დარჩა. ტურინის III ადგილი ერგო.

დანარჩენ სახეობაში გაიმარჯვეს: 4 კმ-ზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში — ბოზიზიომ (იტალია) — 4.50,6; გიტში 1000 მ ადგილიდან — სარტორიმ (იტალია) — 1.10,8; 4 კმ გუნდურ რბოლაში — სსრ კავშირის ნაკრებმა; რბოლაში ერთ წრეზე სვლით — ლატოხამ (პოლონეთი) — 23,9; ჯგუფურ რბოლაში 30 წრეზე, 6 ფინიშით — კუზნეცოვმა (სსრ კავშირი).

### „ბ“ კლასი

IV ზონა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა: „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „კახეთი“ (თელავი) 5:0, „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „ტრუდი“ (კასპიისკი) 0:1, „არაქსი“ (ეჩმიაძინი) — „უროჟაი“ (დერბენტი) 3:0, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0, „ირისთონი“ (მოზდოკი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1, „უროჟაი“ (გროზნო) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:1.

# სპორტული ენციკლოპედია 68

## მეოთხე სერიის პასუხები

**1.** სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება ქართველ სპორტსმენთაგან პირველად (1936 წელს) მიენიჭათ გიორგი ეგნატაშვილს (ქართული ტანვარჯიშული სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს), გიორგი რცხილაძეს (სსრ კავშირის 1932, 1933, 1934 წლების აბსოლუტურ ჩემპიონს ტანვარჯიშში) და დიმიტრი იოსელიანს (ჩვენი ქვეყნის მრავალგზის რეკორდსმენს მძლეოსნობაში).

**2.** შემთხვევა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან, როცა შეჯიბრება ერთ-ერთ სახეობაში გაიმართა არა ოლიმპიადის ქვეყანაში, არამედ სხვაგან, მოხდა 1956 წელს. XVI ოლიმპიური თამაშები ამ წელიწადს გაიმართა მელბურნში (ავსტრალია, ნოემბერი), ხოლო ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება საცხენოსნო სპორტში გაცილებით ადრე ჩატარდა სტოკჰოლმში (შვეცია, ივნისი).

ჯერ კიდევ 1949 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რომის გენერალურ სხდომაზე ცხარე კამათის შემდეგ გადაწყდა XVI ოლიმპიური თამაშების მელბურნში ჩატარება. მაგრამ საქმე, როგორც შემდეგ გამოირკვა, ამით არ დამთავრებულა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 1951 წლის სხდომაზე (ვენა) ყუმბარასავით გასკდა ცნობა, რომ ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ცხენოსნური შეჯიბრება მელბურნში ვერ ჩატარდებოდა. საქმე ისაა, რომ მაღალგანვითარებული მესაქონლეობის ქვეყანაში — ავსტრალიაში დღემდე არ ყოფილა ცხენთა მოდგმის ეპიდემიის თუნდაც ერთი შემთხვევა. ეპიდემიის თავიდან აცილების მიზნით ავსტრალიაში არსებობს ძველთაძველი ურყევი კანონი, რომლის ძალითაც ამ ქვეყანაში ცხენების (საერთოდ, საქონლის) შეყვანა მხოლოდ ხანგრძლივი კარანტინის შემდეგ შეიძლება. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, გაჩნდა საშიშროება, რომ მელბურნი დაკარგავდა ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებას. მაგრამ სწორედ ამ კრიტიკულ სიტუაციაში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო ერთადერთი კეთილგონივრული გადაწყვეტილება — შეჯიბრება ცხენოსნურ სპორტში XVI ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე გამართულიყო სტოკჰოლმში.

**3.** ფეხბურთის ისტორიაში პირველი პენალტი (11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა) დაინიშნა ჩრდილოეთ ირლანდიის ლიგის 1891-92 წლების სეზონში. პენალტის დღევანდელი საერთაშორისო საზომი (11 მ) უშუალოდ გამოანგარიშებულია ინგლისური 12 იარდიდან, რაც 10 მეტრსა და 97 სანტიმეტრს უდრის. აღნიშნული მანძილი დამრგვალდა და მივიღეთ 11 მ.

ფეხბურთის ყოველი ტერმინი სათავეს ინგლისური ენიდან და საზომი ერთეულებიდან იღებს. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პენალტის მანძილი (11 მ) უშუალოდ 12 იარდიდანაა აღებული, ხოლო თვით ეს უკანასკნელი გამოყვანილია საჯარიმო მოედნის სიგანის (18 იარდი) ორი მესამედიდან. პირველად, რა თქმა უნდა, იყო 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფრო ახლო (დამნაშავე გუნდის რაც შეიძლება მკაცრად დასჯის მიზნით) და შორი მანძილებიდან დანიშნის ცდებიც. ადრე პენალტის დროს მეკარეს ჰქონდა კარიდან გამოსვლის უფლება, მაგრამ შემდეგში (1905 წ.) ეს აიკრძალა. 1929 წლიდან მეკარეს დარტყმამდე ადგილიდან დაძვრის უფლება არა აქვს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ასევე ინგლისურიდანაა გადმოტანილი კარის მეტად უცნაური, დაუმრგვალებელი ზომები: სიმაღლე — 2,44 მ (8 ფუტი), სიგრძე — 7,32 მ (8 იარდი), ძელის სისქე — 12 სმ (5 დიუიმი).

**4.** ამიერკავკასიის ხალხთა პირველი დიდი კომპლექსური სპორტული ღონისძიება — ოლიმპიადა, რომელიც ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნებას შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა, გაიმართა 1922 წელს თბილისში. იგი ცნობილია, როგორც კავკასიის არმიის I ოლიმპიადა. ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რუს, სომეხ, ქართველ და აზერბაიჯანელ არმიელთა გუნდები, აგრეთვე, კასპიის სამხედრო ფლოტილიის მეზღვაურები. ამასთან, ოლიმპიადაში ჩართული იყო სპეციალური პროგრამა მოსწავლეთა კომპლექსური შეჯიბრებისთვისაც.

ამიერკავკასიის სპორტსმენთა ამ უდიდესი ფორუმის პროგრამაში შედიოდა მძლეოსნობის ყველა სახეობა, ტანვარჯიში, ფიგურული ველორბოლა, ბაგირის გადაძალვა, კრივი, ჭიდაობა, ფეხბურთი და ხელბურთი. ოლიმპიადა კავკასიის ხალხთა ერთობისა და მეგობრობის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა.

შეჯიბრებები ჩატარდა იპოდრომზე, სამხედრო სკოლის მოედანზე და ტანვარჯიშულ დარბაზში, აგრეთვე, ვაკის სასროლეთზე (ამჟამად „ლოკომოტივის" სტადიონი). გამარჯვება წილად ხვდა თბილისის სამხედრო სასწავლებლის გუნდს.

ამიერკავკასიის სპორტსმენთა შემდგომი მნიშვნელოვანი ერთობლივი ღონისძიებები იყო პროფკავშირების 1927 წლის სპარტაკიადა (ბაქო) და 1928 წლის ფიზკულტურული დღესასწაული (თბილისი). ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სპორტსმენთა რეგულარულ, ტრადიციულ სპარტაკიადებს დასაბამი მიეცა 1943 წელს.

**5.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა საკუთარ მინდორზე ხუთი საერთაშორისო მატჩი დაამთავრა ფრედ და ხუთივე ერთნაირი ანგარიშით — 2:2. ხუთივე შეხვედრაში პირველი ბურთი სტუმრებმა გაიტანეს. აი, თბილისელთა მეტოქენი ამ მატჩებში და მასპინძელთაგან გატანილი გოლების ავტორები: 1955 წ. — რუმინეთის „ლოკომოტივი" (ი. ვარდიმიადი, ა. კოტრიკაძე), 1956 წ. — ბრაზილიის „ატლეტიკა პორტუგეზა" (ზ. კალოევი — 2), 1958 წ. — საფრანგეთის „რესინგი" (თ. მელაშვილი, დ. ხუნდაძე), 1961 წ. — ავსტრიის „ვინერ-ნოიშტადტი" (კალოევი, ი. დათუნაშვილი), 1963 წ. — დანიის „ბოლდსკლუბენი" (შ. იამანიძე, მ. მესხი).

**6.** საბჭოთა სპორტსმენებს შესაბამისად I, II და III ადგილების დაკავებისთვის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ეძლევათ 1947 წლიდან. ჩემპიონის ოქროს პირველი მედალი მოიპოვა მძლეოსანმა ვ. გორდიენკომ (ლენინგრადი), რომელმაც სსრ კავშირის პირველობაში I ადგილი დაიკავა მარათონულ რბენაში.

**7.** ევროპის პირველი ჩემპიონები კრივში 1924 წელს გამოვლინდნენ VIII ოლიმპიურ თამაშებში (პარიზი), ხოლო ევროპის პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატი გაიმართა 1925 წელს სტოკჰოლმში (შვეცია).

ევროპელ მოკრივეებს, რომელთაც პარიზის ოლიმპიურ თამაშებში უკეთესი ადგილები დაიკავეს, კონტინენტის 1924 წლის ჩემპიონის სახელები მიენიჭათ. ესენი იყვნენ: უმჩატეს წონაში — ჯ. მაკ-კენზი (დიდი ბრიტანეთი), მჩატეში — ჟ. სე (საფრანგეთი), ქვემსუბუქში — დ. ვერჟი (ბელგია), მსუბუქში — ჰ. ნილსენი (დანია), ქვესაშუალოში — ჟ. დელარჟი (ბელგია), საშუალოში — ჰ. მელინი (დიდი ბრიტანეთი), ქვემძიმეში — ჰ. მიტჩელი (დიდი ბრიტანეთი) და მძიმე წონაში — ო. ფონ პორატი (ნორვეგია). აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთ წონაში მოხსენიებულმა მოკრივეებმა ოლიმპიური ჩემპიონის წოდებებიც მოიპოვეს. ასეთივე გზით გამოვლინდნენ 1928 წლის ევროპის ჩემპიონებიც ამსტერდამის IX ოლიმპიურ თამაშებში.

ევროპის I ჩემპიონატი ჩატარდა 1925 წელს სტოკჰოლმში. სწორედ აქედან იწყება ევროპის კონტინენტის პირველობათა ანგარიშიც. სსრ კავშირის წარმომადგენელთა დებიუტი შედგა 1953 წელს ევროპის X ჩემპიონატში (ვარშავა). საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდური II ადგილი დაიკავეს, ხოლო კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ ვ. ენგიბარიანი (ერევანი, მსუბუქი წონა) და ა. შოციკასი (კაუნასი, მძიმე წონა).

**8.** მსოფლიოს პირველი ოფიციალური რეკორდის ავტორი საბჭოთა სპორტსმენები არიან: ტექნიკურ სახეობებში — ვ. ილჩენკო (1936 წ., საპლანერო სპორტი), კლასიკურ სახეობებში — გ. ნოვაკი (1946 წ., ძალოსნობა).

საბჭოთა სპორტსმენები თავიანთი მაჩვენებლებით გაცილებით ადრე გასცდნენ მსოფლიო რეკორდების ზღვარს, მაგრამ, ვინაიდან ჩვენი ფედერაციები საერთაშორისო ფედერაციებში მოგვიანებით შევიდნენ, ნაჩვენები შედეგები მხოლოდ მსოფლიო მიღწევებად და არაოფიციალურ რეკორდებადაა მიჩნეული. ასეთ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ათლეტებმა: 1925 წელს — ი. სერგეევმა (ყუმბარის ტყორცნა — 75 მ, 80 სმ), 1936 წელს — დ. იოსელიანმა (ადგილიდან სიგრძეზე ხტომა — 3 მ, 48,2 სმ), 1946 წელს — ნ. დუმბაძემ (ბადროს ტყორცნა — 50 მ 50 სმ) და სხვ.

**9.** გრენობლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში პირველად მონაწილეობდა მაროკოს სპორტული დელეგაცია. თეთრი ოლიმპიადის დებიუტანტი გუნდის სამთომოთხილამურეთა ჯგუფს, რომელშიც 5 სპორტსმენი შედიოდა, მეთაურობდა მაროკოს სათხილამურო სპორტისა და ტურიზმის კავშირის პრეზიდენტი მუსტაფა მადანი.

**10.** სურათზე აღბეჭდილი არიან დიმიტრი იოსელიანი (მარცხნივ) — შესანიშნავი მძლეოსანი, საქართველოს, ამიერკავკასიისა და საკავშირო რეკორდების მრავალგზის ავტორი და განსვენებული ვიქტორ გოგლიძე (მარჯვნივ) — პირველი ქართველი ოსტატი ჭადრაკში, საქართველოსა და ამიერკავკასიის ჩემპიონი, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების მონაწილე. სურათი გადაღებულია 1936 წლის 26 ოქტომბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე, როცა გოგლიძემ ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო მიღწევა მიულოცა იოსელიანს.

* * *

მეოთხე სერიის შემდეგ კონკურსში დაწინაურებულთა გვარები ჩვენი გაზეთის ოთხშაბათის ნომერში გამოქვეყნდება მომდევნო ორ სერიასთან ერთად.

## პირველად — ნახევარფინალში!

### ა. მეტრეველმა და ო. მოროზოვამ დაამარცხეს პ. გონსალესი და რ. კაზალსი

ლონდონი, 4 ივლისი. ყველაზე დიდ წარმატებას თბილისელმა ა. მეტრეველმა მოსკოველ ო. მოროზოვასთან ერთად უიმბლდონის ტურნირის შერეული წყვილების ასპარეზობაში მიაღწია: საბჭოთა ჩოგბურთელების დუეტი ნახევარფინალში გავიდა. ამ ეტაპზე ბრძოლის უფლება მან ამერიკელების კაზალსისა და პ. გონსალესის დამარცხების [illegible] 6:4. აღსანიშნავია ისიც, [illegible] ველმა დაამარცხეს ამერიკელი ნ. რიჩი და ჰოლანდიელი ოკერი.

უიმბლდონის ტურნირში საბჭოთა ჩოგბურთელების მონაწილეობის ისტორიაში ნახევარფინალში თამაში პირველი შემთხვევაა.

## „ძელოფალი" ევროპის სტადიონებზე

პოტსდამი, 3 ივლისი. ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა დიტერ ჰოფმანმა, რომელმაც ბირთვი 20,08 მეტრზე ჰკრა.

ძველი რეკორდი საბჭოთა მძლეოსანს ე. გუშჩინს ეკუთვნოდა (19,64 მ).

სტოკჰოლმი, 3 ივლისი. 5.000 მეტრზე რბენაში აქ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ვ. კუდინსკიმ — 13.34,6. ეს 0,2 წამით სჯობს ა. [illegible]კაროვის ძველ მიღწევას. ამ გარბენში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ავსტრალიელ რ. კლარკსა და უნგრელ ლ. მეჩერს შორის. უნგრელი მორბენალი პირდაპირ „ქუსლზე აჯდა" მსოფლიო რეკორდსმენს და ბოლო 100-მეტრიან მონაკვეთზე გამოგლიჯა გამარჯვება — 0,6 წამით მიასწრო ფინიშთან. მეჩერის დრო 13.29,2. კუდინსკი ფინიშთან მეექვსე იყო.

უროს ტყორცნაში ყველაზე ერთი თავით მაღლა იდგა საბჭოთა ათლეტი რ. კლიმი — 71,04 მ. II ადგილზე გასულმა იაპონელმა ტ. სუგავარამ თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 67,90 მ.

სამაგიეროდ, წარმატებამ ზურგი შეაქცია საბჭოთა მხტომელებს. მოსკოველმა ი. ტერ-ოვანესიანმა სიგრძეზე ხტომაში მხოლოდ III ადგილი დაიკავა თავისთვის საკმაოდ მოკრძალებული შედეგით — 783 სმ. აქ ყველას აჯობა ფინელმა პ. პოუსიმ — 793 სმ. II ადგილზე გასულ კ. ბეერს (გდრ) ასეთივე შედეგი ჰქონდა.

III ადგილი დაიკავა ჭოკით ხტომაში გ. ბლიზნეცოვმაც, თუმცა მან ისეთივე სიმაღლე (490 სმ) დაძლია, როგორც გამარჯვებულმა ჩ. ი[illegible]სონმა და მეორე პრიზიორმა ჰ. ლაგერკვისტმა (ორივე — შვეცია).

ბირთვის კვრაში ყველას აჯობა 24 წლის დ. პროლიუსმა (გდრ) — 19,09 მ. II ადგილზეა ევროპის ჩემპიონი ვ. ვარიუ (უნგრეთი) — 19,02.

პრაღა, 5 ივლისი. „როშიცკის მემორიალში" წარმატება მოიპოვა უკრაინელმა მოსწავლემ, 17 წლის ვალენტინა კოზირმა: იგი 176 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო. სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა რიგელმა ხ. რინგამ — 638 სმ. II ადგილზეა მოსკოველი ტ. ტალიშევა — 629 სმ.

800-მეტრიან დისტანციაზე ბადალი არ ჰყავდა ახალგაზრდა ჩეხოსლოვაკიელს ი. პლახის — 1.47,1. მინსკელი მ. ჟოლობოვსკი მეხუთე იყო — 1.49,5. პოლონელი ჰ. შორდიკოვსკი საუკეთესო იყო 1500 მეტრზე რბენაში — 3.44,1.

100 მეტრზე რბენაში ჰ. ერბშტოსერმა (გდრ) 10,2 წამი აჩვენა, მაგრამ ფინალური გარბენი მოიგო მისმა თანამემამულემ ჰ. შელტერმა — 10,4. 200-მეტრიან დისტანციაზე იმარჯვა ლ. კრჟიჟმა (ჩეხოსლოვაკია) — 20,8.

შეჯიბრებაში 14 ქვეყნის მძლეოსნები მონაწილეობენ.

პარიზი, 5 ივლისი. საფრანგეთის რეკორდსმენმა რ. ბამბიუკმა 100 მეტრზე რბენაში აჯობა ახალი მსოფლიო რეკორდის ერთ-ერთ თანაავტორს, ამერიკელ რ. სმითს. ორივემ ერთნაირი დრო აჩვენა — 10,1 წამი. დედაქალაქის „შარლეტის" სტადიონზე გამართულ ამ შეჯიბრებაზე ამერიკელმა სპრინტერებმა კიდევ ერთი მარცხი იწვნიეს: 4×100 მ ესტაფეტაში პირველნი იყვნენ კუბელები რამირესი, მორალესი, მონტესი და ფიგეროლა — 39,6. ამერიკელები კარლოსი, როჯერსი, ევანსი და სმითი მხოლოდ 40,8 წამში მივიდნენ ფინიშთან.

მსოფლიოში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა 1500 მეტრზე რბენაში ფრანგმა ჟ. ვადუმ — 3.37,9.

200-მეტრიან დისტანციაზე ამერიკელებმა რევანში აიღეს: ფინიშთან პირველი იყო ჯ. კარლოსი — 20,2.

ჭოკით ხტომაში ბადალი არ ჰყავდა ბ. სიგრენს (აშშ) — 520 სმ. სიგრძეზე ხტომა მოიგო ფრანგმა ჟ. პანიმ — 802 სმ.

## ჭადრაკის მერიდიანებზე

▲ პუნა (ინდოეთი). ინდოეთის VII ჩემპიონატში გაიმარჯვა ნ. ალიმ (10 ქულა 13 შესაძლებლიდან). მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ცნობილი საერთაშორისო ოსტატი მ. აარონი.

▲ ნიუ-იორკი. ორ ეტაპად ჩატარდა ნიუ-იორკის შტატის ღია ჩემპიონატი. ფინალში ერთმანეთს შეხვდა 6 მოჭადრაკე. I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა პ. ბენკომ — 4,5 ქულა.

▲ ოლოტი (ესპანეთი). 2 დიდოსტატი (ა. პომარი და მ. დამიანოვიჩი) და 8 ოსტატი მონაწილეობდა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში. I ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა ჰ. ლემანმა (გფრ) — 8,5 ქულა. 6-6 ქულა მოაგროვეს დიდოსტატმა დამიანოვიჩმა (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატებმა ს. ტატაიმ (იტალია) და ა. დურაომ (პორტუგალია).

▲ კენბელო (ჰოლანდია). ანგარიშით 10,5:9,5 ჰოლანდიის ნაკრებმა დაამარცხა გფრ-ის ნაკრები. გერმანელთა გუნდში არ გამოდიოდნენ მოწინავე დიდოსტატები ვ. უნციკერი და ლ. შმიდი. პირველ დაფაზე დიდოსტატების ი. დონერისა (ჰოლანდია) და კ. დარგას ორივე პარტია ყაიმით დამთავრდა.

▲ სოფია. ბულგარეთის გუნდური პირველობა დამთავრდა ადგილობრივი „აკადემიკის" გამარჯვებით. მან 30,5 ქულა მოაგროვა და სოფიის „ლოკომოტივი" 4,5 ქულით ჩამოიტოვა.

▲ ბუქარესტში გამართულ ტყვიის მსროლელთა ტურნირში კლინგერმა (გფრ) მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტულ (3×40) სროლაში 1162 ქულა მოაგროვა, რაც 2 ქულით სჯობს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. კლინგერი წლეულს სისტემატურად მაღალ შედეგებს აჩვენებს და სპეციალისტებს იგი მეხიკოს ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტად მიაჩნიათ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ცაზე

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასის I ჯგუფი. „დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა). 6 ივლისს — დუბლიორთა შემადგენლობანი, 7 ივლისს — ძირითადი შემადგენლობანი. თამაშების საწყისი 18 ს. 30 წ.

## ბრენდეჯი გაოცებულია

საპორო, 5 ივლისი. 1972 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა განაცხადა, რომ XXI საზაფხულო ოლიმპიადის (1976 წ.) მასპინძელი ქალაქი შეირჩევა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესზე 1970 წელს ვარშავაში.

ბრენდეჯს იმედი აქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ორი ან სამი ევროპული სახელმწიფო თავიანთ კანდიდატურებს წამოაყენებენ ზემოაღნიშნული ოლიმპიური თამაშების მასპინძლის როლში.

ბრენდეჯმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა ოლიმპიადისთვის ადგილობრივი ხელისუფლების სამზადისის გამო. იგი პირდაპირ გაოცდა, როცა გაიგო, რომ აქ გადაწყვეტილი აქვთ სპეციალური გზატკეცილები გაიყვანონ ოლიმპიური სოფლიდან ყოველი შეჯიბრების ადგილამდე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07611